



თავისუფალი საქართველო

ათეატრის სალიტერატო რედაქცია

პარასკე, 27 მაისი
№ 22 — 1916

ფასი
10 კ.

წელიწადი
მ ე ო თ ხ ე

საღამო

ა. ი. სუმბათაშვილს



შენ სამშობლოს ჩამოგწეუიტა ჩატეხილმა ბედის ხილმა,
შენ ჩრდილთს ეს დაამწეუნე — იერიის ო ტარდმა,
შენ სხვა ერის მხემ გაგიტბო გული — მზიურ ფიქრთა მგზნები,
შენ სხვის ბაღში მიმოჰფანტე საბუღბულო სიმღერები.
მაგრამ შენი გულის თრთოლვა, ცრემლი, ფიქრი აღმაფრენა —
იყო მხოლოდ საქართველო — და მის სახე იყავ შენა! —
როსაქ ჩამოუღს მახვილს სკემდ ნენ — ტკივილს შენ ჩქვანიტლიდი, —
შენც გტანჯავდა ჯვარი — მცსგან გოღგოთაზე ანაზიდი!
და დღეს მოხველ უფრო ახლო საქართველოს კრილობებთან,
რომ მის კენესა განცადო უფრო მწვაიედ, ტრთად სხევებთან! —
და სამშობლოც თავდახრილი — მადლიერის სიყვარულით —
სალამს გიძღენის ღირსეულს შეილს — სალამს გიძღენის წრფე-
ლის გულით!..

ს. ფაშალი შვილი

27 მაისი

დბრამატოურგ მსახიო
თავ. აღ. ივ. სუმბათაშვილი

დბრამატოურგ მსახიო
თავ. აღ. ივ. სუმბათაშვილი



მ. კავსადის გუნდი სასაპირო უბნებში კონცერტს მართავს.

მ. კავსადის გუნდი სასაპირო უბნებში კონცერტს მართავს.

ქართული ცეკვის სკოლა

როგორც ქალებს, აგრეთვე ვაჟებს ვასწავლი ყოველგვარ კავკასიურ ცეკვას: ქართულს, ლიკურს, დაღესტურს, ტურსნაურულს, სომხურსა და თათრულს თამაშსა.

აღიქვამ ცეკვის სკოლა ინსტრუქტორსა და მასწავლებლებსა.

სადაც უნდა (3-2)



სახალხო სხდომა

სამშაბათს, 7 ივნისს 1916 წ. კიონი 25. სპირსა

გასტროლი ნინო ჩიქიძისი, ქართული ცეკვითი მხახიობთა მიერ წარმოდგენილი იქნება

მარკუარიტა გოტიე

ბილეთები ამ თეატრულ იუალება თეატრის კას

ბილეთები ამ თეატრულ იუალება თეატრის კას

სტენან მოყვარე მუშაკთა საყურადღებოდ:

И. Т. Полумордвиновъ.

Списокъ пьесъ

На грузинскомъ языкѣ,

разрѣш. № представл. на сцен Кавк. Края. и. 40 коп. Тифлисъ Цезарный Комитетъ

"განათლებლები"

განათლებლები: თეატრი და ცხოვრება, "თან სხვა", აქმ. მოთხრობა, "საქართველო", "თიფლისკი ლისტოკი", "Русское Слово", "გორისონი", კულის ვაჟუნდები და სხ. და სხ. ქართული ცეკვითი მხახიობთა წარმოდგენის უნდა გამოიყენებინოს. მისი მისამართი: თიფლის, почтовый ящикъ № 96, С. Таварткиладзе.

განათლებლები
თავართანს ჰართავს
თავართანს ჰართავს
თავართანს ჰართავს



№ 22

წელიწადი
8 ე ო თ ხ ე

რედაქციის განცხადება

წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ. ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება „სორაპანი“ სტამბაში ყოველ ექვსს. ხელ-მოუწერილი წერილები არ დაიბეჭდება.—ხელთნაწერები საკუთრებისამებრ შესწორდება.—რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება „სორაპანი“ სტამბის კანტორაში—დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ტელეფონი № 15-41. მისამართი: Тифлиси, Ред. „Театри და Цховრება“ Иос. Имадашвили.

№ 22

პარასკევი, 27 მაისი

1916 წ.

27 მაისი

დაძაძული
ზეიმი

დღეს, პარასკევს, 27 მაისს სახაზინო თეატრში გაიმართება ბენეფისი ხოლო, ორშაბათს 30 მაისს დილით სამეჯლისო წარმოდგენა იმ კაცის პატივსაცემლად, რომელმაც ეს ორი კვირაა თითქმის მთელი ქართველი საზოგადოების ყურადღება მიიპყრო და ნადიმ-მეჯლისებს ბოლო აღარ უჩანს...

სისხლის წვიმების დრო და—ზეიმი, ძაძოთ მოსილი სამშობლო და—მეჯლისი!

განა რომ გასაკვირველია! მაგრამ ნურც გავიოცებთ: ქართველი ქირშიაც მოიღობენს, ეს არის მისი ბუნება...

ასე ღბინობს დღეს ქართველი, ძაძა მობურჯილი...

მაშინ, როდესაც მხიარულობს მეღბომენა თუნდა იმ ერის სცენისა, რომელსაც ამშვენებს ჩვენი სიამაყე ა. ი. სუმბათაშვილი, ჩვენი მეღბომენა ძაძა მოსილია...

რა ხანია განადგურდა ტაძარი ქართული სასცენო ხელოვნებისა, მისი ქურუმნი მიმოიბნენ და დღეს გზა-დაკარგულნი დადიან...

მართალია, ქართველი ერის სულმა გაიღვიძა, მაგრამ მისი სამოქმედო ასპარეზი შეზღუდულია...

სხვის ქერ ქვეშ-კი ვერ გვეღბინება!

დღეს, 27 მაისს, ა. ი. სუმბათაშვილის ბუნეფისზე და ორშაბათს მისივე პიესის სამეჯლისო წარმოდგენაზე კიდევ ერთხელ გამოუცხადოთ ჩვენი მადლობა იმას, რომელმაც თავისი „დაჯატი“-თ მძლავრად შესძრა ჩვენი ეროვნული გათვითცნობიერების სიმები, მაგრამ ამა-

ვე დროს ნუ დავივიწყებთ, რომ მისი „დაჯატი“-ს წარმოდგენა ქართველ მსახიობს მხოლოდ თავის საკუთარ სამშობლო სცენაზე შეუძლიან შესაბამი ღირსებით, რომლის დროით აუგებლობა ჩვენი ერის ერთ უდიდეს კულტურულ საქმეს ხიფათში აგდებს.

ძველი ქართველი თუ ქირის დროსაც ღბინს არ იშლიდა, დაე ნურც ჩვენ მოვიშლით ამას, მაგრამ ღბინში ჩვენს ქირ-ვარამზე ზრუნვასაც ნუ დავივიწყებთ...

უბრალო საუბარი

უბრალო მკითხველთან

VII

ქართველი ერის არსებობის დაცვისა და წინმსვლელობის უზრუნველყოფისათვის ორი საშუალებაა: მეგობრული კავშირი ყველა მეზობელ ერებთან, ვისთანაც კი ეს კავშირი დღევანდელს პირობებში შესაძლებელია, და ეკონომიური განვითარება.

მარტო ჩვენის ძალღონით ვერ შევაჩერებთ და ვერც შევაფერხებთ სომხის მსხვილი ბურჟუაზიის მსვლელობას ვიწრო, შოვინისტურის გზით. თუ ის ვიფიქრეთ, სომხის დემოკრატია გამოფხიზლდება, გამოიღვიძებს, გათვითცნობიერდება და სომხის მსხვილ ბურჟუაზიის შეაჩერებსო, ყინულზე დავრჩებით.

ღმერთმა ჰქმნას, რომ სომხის დემოკრატია გამოიღვიძოს და მეტი საზოგადოებრივი შეგნება გამოიჩინოს, მაგრამ ეს მომავლის საქმეა და ჩვენ დღესვე გვიანდა საქმე და არა მარტო სიტყვა, ან ცალიერი იმედები.

სომხის მსხვილი ბურჟუაზიის მიზარულეობა მარტო ჩვენთვის კი არ არის მაგნებელი, ის მაგნებელია სხვა ერებისთვისაც. ამიტომ ჩვენ უნდა ვეცადოთ, ყველა ერებთან მეგობრული კავშირი განვამტკიცოთ—თათრებთან, რუსებთან, ებრაელებთან, ოსებთან და სხვ.

ამ მხრივ ყველაზე მეტი მნიშვნელობა აქვს თათრებთან კავშირს. თათრები არიან ჩვენი მეზობლები და კავკასიის ბინადარნი.

სომხის მსხვილი ბურჟუაზიის მიზართულეობა მათთვისაც იმდენადვე არის მაგნებელი, რამდენადაც ჩვენთვის.

საერთო უბედურება ხშირათ ორ მტერს ავიწყლებს მტრობას და აკავშირებს. ჩვენ და კავკასიის თათრებს ერთი მეორესთან საშტრო არა გვქონია რა და მით უმეტეს დღეს არა გვაქვს.

კავკასიის თათრებსა და ქართველებ შორის მეგობრული ურთიერთობა იმიტომ კი არ არის საჭირო და აუცილებელი, რომ შეერთებულის ძალდონით სომხის პლუტოკრატიას ბრძოლა გამოეუცხადოთ, ეს ურთიერთობა საჭიროა საერთო კეთილდღეობისათვის.

კავკასია არის სამშობლო ქართველების, სომხების, თათრების და სხვ. ისე როგორც შვეიცარია არის სამშობლო იტალიელების, გერმანელებისა და იტალიელების.

ჩვენ ყველანი—სომხები, ქართველები, თათრები უნდა შევადგენდეთ ერთ ხალხს, ისე როგორც შვეიცარიის იტალიელები, ფრანგები და გერმანელები შეადგენენ ერთს შვეიცარიის ხალხს.

მაგრამ საქმე იმაშია, რომ შვეიცარიელებსა აქვთ საერთო ისტორია, კავკასიის ერებს კი არა.

კარჩაკეტილობა უნდა მოისპოს,—ჩვენ ყველანი უნდა დავეუკავშირდეთ ერთმანერთს და საერთო ძალდონით უნდა ვიზრუნოთ საერთო საქმეებისათვის.

ჩვენსა და თათრებ შუა შემაერთებელ ხიდათ უნდა იყონ ქართველი მაჰმადიანები.

შეგნების დაბალ საფეხურზე სარწმუნოებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ერთა შორის ურთიერთობისათვის ამიტომაც არის, რომ სარწმუნოებრივი სხვადასხვაობა გვაშორებს ჩვენ მაჰმადიან ქართველებს.

სარწმუნოების გავლენას იმითი კი არ უნდა ვებრძალოთ ჩვენ, რომ მაჰმადიან ქართველებში ქრისტიანობა ვავრცელოთ, არამედ შეგნების, სწავლის გავრცელებით.

ქრისტეს მოძღვრების ქადაგებით მხოლოდ ზიანს მოვიტანთ: ჩვენ ჩვენი ქრისტე ვვიყვარს, მათ მათი მაჰმადი.

სარწმუნოებრივი გაერთიანება ყოველად შეუძლებელია, —ახლო მოშავალში მაინც; ჩვენ უნდა გავგაერთიანოს სწავლამ, ცოდნამ და საერთო ინტერესმა.

მეტი ცოდნის შეტანა ქართველ მაჰმადიანებში — იი რა უნდა იყოს ჩვენი მიზანი.

ამასვე მოისურვებენ, რასაკვირველია, კავკასიის თათრებიც.

კეთილი და პატიოსანი — ქართველ მაჰმადიანებში ჩვენ შევიტანთ სწავლას, თუ თათრები, ორივე შემთხვევაში სასარგებლო საქმე იქნება, ხოლო ამ გზით ჩვენ და თათრებმა თანხმობით უნდა ვიაროთ და ვიმოქმედოთ.

დღე, სწავლის შუქი მოეფინოს ქართველ მაჰმადიანებს; მაშინ ისინი თვითონ მოვლენ ჩვენთან და ერთხმად გვეტყვიან: გამარჯვება ჩვენო ძმებო — ქართველებოვო.

რაკი ქართველ მაჰმადიანებზე ჩამოვარდა ლაპარაკი, აქვე მოკლეთ შევეხები ქართველ ებრაელებსაც.

ერთხელ პეტროგრადში დავესწარი ერთ კრებაზე. ლაპარაკი ჩამოვარდა კავკასიის ებრაელებზე. ერთმა მეცნიერმა განაცხადა: კავკასიის ებრაელები ნამდვილ ებრაელები არ არიან; საქართველოს ებრაელები კი არიან ქართველები, რომელთაც მოსეს რჯული მიუღ ათო; ქართველ ებრაელთა თავის ქალა ცხადათ ამტკიცებს, რომ ისინი ქართველები არიან და არა ძველ ებრაელთა მოდგმაო.

ქარწინების წყალობით ქართველ ებრაელებში ქართველის ტიპი რამოდენიმეთ შეცვლილია, მაგრამ ჩემთვის ცხადია, რომ ხახანაშვილი, ელიგულაშვილი, სეფიაშვილი, ჯანაშვილი, რიჟინაშვილი, მათიაშვილი, კურკიშვილი, დავარაშვილი, კაკიტელაშვილი, ბერიძე, ფიჩხაძე, მოძღვრიშვილი, ფერემაშვილი, თავდიდიშვილი, კიკოზაშვილი და მრავა-

ლი სხვანი ჩამოვავლობით ქართველები არიან და არა ებრაელები.

ჩვენ და ჩვენ მოძმე ქართველ ებრაელებს შორი მუდამ მეგობრული ურთიერთობა სუფევდა და სუფევს და რაც უფრო განმტკიცდება ჩვენ შორის თანხმობა, მით უკეთეს იქნება ორივე მხრისათვის.

ჩვენ და ქართველ ებრაელებს ერთი სამშობლოს გვაქვს, ერთი ქირი, ერთი ღვინი და საერთო სამშობლოს საკეთილდღეოთ საერთო ძალღონით მოქმედება ჩვენს მიზანს უნდა შეადგენდეს.

კავკასიაში არიან რუსები, ოსები, ბერძნები. ყველა მათთან მეგობრული კავშირის განმტკიცება აუცილებელი პირობაა ჩვენი კეთილდღეობისათვის.

როდესაც ჩვენ რაიმე ნაბიჯის გადადგმას დავაპრებთ მარტო ჩვენი სარგებლობა კი არ უნდა მივლოთ მხედველობაში, როგორც სომხის პლუტოკრატია ირჯება, არამედ ყველა მუშობლების სარგებლობაც.

კავკასიის დემოკრატებო, შეერთდით!

აი რას უნდა ვქადაგებდეთ ჩვენ სიტყვით და ვახორციელებდეთ საქმით.

თუ მსხვილი ბურჟუაზია განცალკევების გზას ადგია, სამაგიეროთ ჩვენ მთელის ჩვენის ძალღონით უნდა მივიწინააღმდეგოთ შეერთებისაკენ, რადგანაც დემოკრატის ძალა ერთობაშია.

ივ. გომართელი

ცმცხლის ნაპირაჟკალი

თვალეზს მილულავს ციდან ვარსკვლავი, ამბორს მიგზავნის ცრემლი იისა; ქმად შეფიცება მრისხნე ზვავი, მნათლავს ნაკადი პოეზიისა...

ვარდები ფურცლებს მფრენ ხალად, დიდები გვირგვინს მიწვენ გვრიტები; ყვავილნი მცნობენ თავსუფალად, მეტრფიან ველის მარგლიტები...

რად მინდა უვიცო ქებათა-ქება? ჩემი გოლგოთა—სამოთხე არი. სხივად შემლება თავდავიწყება, ზემის ნირეკავს ცხოვრების ზარი...

დე! ბრბომ ნუ იცის წმიდა სურვილი, დე! ბრბომ ნუ იცის წმიდა განზრახვა; ჰანგებში დნება შვენი: წყურვილი, ბედნიერი ვარ! ხა! ხა! ხა! ხა! ხა!

კიკნა-ფშაველი



თავ. ა. ი. სუმბათაშვილი—ოთარ ბეგი.

**მსახიობ-დრამატურგი
თავ. ალ. ივ. სუმბათაშვილი**

(მისი დღევანდელი—27 მაისის—ბენეფისის გამო სახაზინო თეატრში)

თუ ქვეყნად როდისმე ყოფილან ადამიანა გულის ზრახვათა აღმოშკითხველნი, სულის მესაიდუმლენი და წინასწარმეტყველნი, ერთ მათგანად უნდა ჩაითვალოს ჩვენი საამაყო თანამემამულე, მსახიობ-დრამატურგი თავადი ალექსანდრე ივანეს ძე სუმბათაშვილიც, რომლის მაღლი ნმა კალამმა შესძრა ქართველთა მიყუჩებული გულის სიმები და ხელოვნებამ კი არა ერთი და ორი ღვთიური ხატება შექმნა.

შესაძლოა, ალ. ივ. სუმბათაშვილიც ისევე მიევიწყნა ჩვენს სამშობლოს, როგორც არა ერთი და ორი გარეწარი მიუვიწყნია, რომ ამ ჯადო-ხელოვანს, მე აიდუმლე-მწერალს არ მოეძღვნა ხელასსეულ საგოგმანებელი

პიესა „დალატი“—ეს საქართველოს წარსული და აწინდელი სულისკვეთების სიმბოლიური გამოხატულება, ჩვენი ეროვნული ბრძოლის სიმღერა, რომლითაც ერთი პირველთაგანი საპატო ადგილი დაიჭირა ჩვენის ერის განახლების მოციქულთა შორის.

და არა მხოლოდ ჩვენში,—არამედ ყველა ჩაგრული ეროვნებისა და უკეთესი მერმისისათვის მებრძოლის გულში ხელთუქმნელი ძეგლი აღიგო!

მელპომენამ ხომ დიდი ხანია თავის წმინდა ქურუმთა შორის შერიცხა.

მერე ვინ არის იგი და როგორ მიიღწია ეგოდენ დიდებას?

თავ. ალექსანდრე ივანეს ძე სუმბათაშვილი, სცენაზე იუენის სახელით ცნობილი, საქართველოს ძველ თავადშივლითა შთამომავალი, დაიბ. რუსეთში, დედის მამულში ს. მუხომეღევკას, ტულის გუბერ. 1857 წ. 4 ენკენისთვეს. სწავლობდა თბ. პირველ გიმნაზიაში, გიმნაზიის გათავების შემდეგ, 1877 წ. უნივერსიტეტში შევიდა იურიდიულ ფაკულტეტზე.

თეატრი სიყრმიდანვე უყვარდა. თბილისში ყოფნისას, პირველად ერთ საოჯახო წარმოდგენაში ქალის როლი შეასრულა, მეორედ გიმნაზიაში ყოფნის დროსვე მონაწილეობა მიიღო „ვაი ქუისაგან“—ში. სტუდენტობის დროს ხშირად თამაშობდა კერძო თეატრებში. 1880 წ. თბილისში წარმოადგინა თავისი პირველი პიესა „მეხას ამცდენი“, რომელშიაც თვითვე შეასრულა ერთი როლი და საერთო ყურადღება მიიქცია. 1881 წ. საბოლოოდ გადასწყვიტა თეატრში შესვლა, პირველად უჩიველ აკოსტას როლში გამოვიდა და ძალიანაც მოეწონა საზოგადოებას 1882 წ. კორშის თეატრში შევიდა, მალე რუსთა დრამატურგმა პოტეხინმა საიმპერატორო თეატრში გლიყვანა, სადაც ნიკიერისა და ხელოვნურის თამაშით საპატო სახელი მოიხვეჭა. ამ დროიდან ბეჯითად შეუდგა მუშაობას მოსკოვის საიმპერატორო „პატარა თეატრში“ და დიდი შრომის უნარი გამოიჩინა: ბუნებრივ ნიქს არ სჯერდებოდა და ყოველ უმნიშვნელო როლის

შესრულების დროსაც კი დიდ ყურადღებას აქცევდა ყოველივე წვრილმანს. რეცენზენტ-კრიტიკოსთა მოწმობით, სუმბათაშვილს ბევრჯელ ერთ სეზონში 10—15 როლი შეუქმნია. იგი მსახიობთა თვითშემოქმედობის საუცხოვო მაგალითია: ყოველთვის სიყვარულით ეკიდებოდა სასცენო ხელოვნებას, მთელი თვისი არსებით ემსახურებოდა თეატრს და თავისი მაგალითით თეატრის მნიშვნელობის ამაღლებას ცდილობდა. შემდეგ მიიწვიეს მოსკოვის საიმპ. „პატარა თეატრის“ დასის გამგედ, სადაც დიდი საგამგეო ნიქი გამოიჩინა და თეატრი ძლიერ დააწინაურა. მისი აზრით, თეატრს უნდა ჰქონდეს ერთი თავი და ასი ფეხი, რომ წინ წავიდეს.. თუ პირიქით ხდება, თეატრის საქმე უკან დაიწვიეს..

სუმბათაშვილი ცნობილია, აგრედვე ვითარცა ნიქიერი დრამატურგი, ორატორი და საზოგადო მოღვაწე. დაწერილი აქვს ოცამდე დრამა და კომედია, რომლებიც ყველგან, ყველა თეატრში 6000-ზე მეტჯერ წარმოუდგენიათ. როგორც მსახიობმა და დრამატურგმა დიდი სახელი მოიხვეჭა არა თუ რუსეთსა და ჩვენში, ევროპაშიაც. სხვათა შორის, საფრანგეთში იგი დააჯილდოვეს უმაღლესი ჯილდოთი. 1902 წ. მარიამობისთვეში მოსკოვში გადუხადეს 20 წ. მოღვაწეობის ბრწყინვალე დღესასწაული.

ალ. ივ. სუმბათაშვილმა ჯერ კიდევ ოთხმოციან წლებში განაცხადა: თავის მამულისა და მოძმეთა სიყვარული ადამიანის თანდაყოლილი გრძნობაა, მამულის სამსახური—მისი რწმენა,—მეც მიყვარს ჩემი სამშობლო, მესმის მისი ქმუნვა, მისი მდგომარეობა, და რითაც შევიძლებ—ვემსახურებო. ეს აღთქმა მეოთხედი საუკუნის შემდეგ შეასრულა „დალატი“-ს მოძღვნით და როგორც გვითხრეს, ამ უამალ თურმე რომანსა სწერს საქართველოს ცხოვრებიდან. „დალატი“ გადათარგმნილია ევროპულ და სხ. ენებზე. ამ პიესის გარდა, ქართულად გადმოთარგმნილია „ბორკილი“, „ადიკო კაზიანი“ („Аркхановы“), „ციხის საიდუმლო“ (გადმოკეთებული „Старый Закалты“-დან) და სხ.

იგი, როგორც საზოგადო მოღვაწე, მოს.

კოველ ქართველთა სული და გულია და მოსწავლე ქართველი ახალგაზღვრების დიდი შემწე-დამხმარე.

დაე, სამშობლოდან უცხოეთში ნებისთ თუ უნებლიეთ გადახვეწილებმა მაგალითად იყოლიონ ალ. ივ. სუმბათაშვილი და გაიგონ, რომ ყველას შეუძლიან სამშობლოს სამსახური, თუ გული გულობს... თავისი მამულის სამსახური კი ყოველის გზით შეიძლება, თუ კაცმა ინდობა...

სალამი ჩვენი პატარა სამშობლოს დიდებულ შვილს, დიდებული ხელოვნების ღირსეულ ქურუმს, ალ. ივ. სუმბათაშვილს.

იოსებ არიმათიელი



თავ. ა. ი. სუმბათაშვილი — ოტელი



ქალთა საკითხის გამო

„ქართლის ღელაო!..

ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი; ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს“.

ილია ჭავჭავაძე.

ამ ბოლო დროს მოგესვენებთ გასშირდა ქალთა წრეების დაარსება ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა კუთხეში. მათ ფრად სიმპატიური მიზანი აქვთ დასახული: თვითგანვითარება, გაგება და შესწავლა ჩვენი წარსულისა, ლიტერატურისა, ისტორიისა და სხვ., ე. ი. შეგნება, თუ ვინ ვიყავით უწინ, რა ვართ დღეს და რანი უნდა ვიყვნეთ მომავალში.

ჩვენ აქ დაწვრილებით არ გამოვუდგებით იმის შტკიცებას, თუ რა მნიშვნელობა აქვს ქალთა გამოყენებას ჩვენი თანა და მონაწილეულ და ჩამორჩენილ ერისათვის. ეს უველასათვის მარტივია, ვიტყვით მხოლოდ, რომ ჩვენი საზოგადოებრივი, ეროვნული წარმატება ისე შეუძლებელია, თუ ჩვენი ერის ნახევარი შემადგენლობა — ჩვენი ოჯახის — ბურჯი-დედა არ უარყოფს დღევანდელ უმიზნო და უშინაარსო ცხოვრებას და არ წაბაძვს თავის წინაპარს ძველ ქართველ დედებს და თანამედროვე განათლებულ ქვეყნებში მოღვაწე ქალებს...

ჩვენ ქალთა წრეების შესახებ უნდა ვსთქვათ, რომ მართალია, მათ კრებებსე იკითხება რეფერატები, ლექციები და სხ. მაგრამ ეს მაინც არა კმარა. საჭიროა ამ მუშაობის გაფართოება, გადრეკება. ეს კი შესაძლებელი შეიქმნება მხოლოდ მაშინ, როდესაც იქნება შემუშავებული საერთო გეგმა და ორგანიზაცია მოქმედებებისა.

უხლა ერთმა წრემ არ იცის რას აკეთებს, რა გზას ადგია მეორე; უეჭველად უნდა არსებობდეს მათ შორის მჭიდრო კავშირი. ეს ადვილად შესაძლებელია, თუ დაარსდება ბეჭდვითი ორგანო, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი მოწინავე კადმოსანი მანდილოსნები.

ეს ვურნალო იქნებოდა მანველებელი იმისი, თუ რა კეთდება ქალთა წრეებში; იგი გაუწევდა ხელმძღვანელობას უველად პროვინციულ წრეებს, რომელთაც მუშაობა გაუადვილდებოდათ და წარმატების გზას უფრო მეტგად დაადგებოდნენ ჩვენი მრავალტანჯულ სამშობლოს საკეთილდღეოდ...
ერმალოზ კანი

ლექსთა წება

(კერძო წერილიდან)

ბრძოლის

ველზე

დაღუპული



† ალექ. რაუ. გიგაური

შტაბს კაპ ტანი, გიორგის კავალერი, შვილი ქუთაისში ცნობილ დეკანოზის რაქუნ გიგაურისა და ძმა მწერალი ქალის ნატო გიგაურისა, გმირულად დაიღუპა დასავლეთის საომარ ასპარეზზე. სწავლა ქუთაისის გიმნაზიასა და სამხედრო სასწავლებელში ჰქონდა მიღებული. მამაც ოფიცრად იყო ცნობილი და დიდი ვაჟაკობაც გამოიჩინა ახლანდელ ომში.

ჩემო ძვირფასო მეგობარო, ხმა ტკბილო ქნარო! ჩემი წერილის წაკითხვაზე რომ არ ამთქნარო, რომ დავივიწყოთ ჰირ-ვარამი ყოველდღიური,— შენთან შეყრის დროს ავირჩიე ენა ღვთიური, ენა, რომელზეც საუბრობენ რჩეულნი მხოლოდ. თუ გული ჩვენი სინამდვილეს მოუცავს ბნელით, ოცნებით მინც გავაშუქოთ და ავათრთოლოთ. დაე, სიბრყვევე ჰნახონ ჩვენი სხვებმა ამაში, რომ ჩვენ ბავშვივით აღვიტაცებს და ქუედიან გვწლის გრძნეულ სიტყვ თა ჯადოსნური ცეკვა-თამაში, რომ თვით ბულბულსაც არ ატყვევებს ისე გალობა, როგორც ჩვენ ლექსთა მომხიბლავი მუსიკალობა...

თოთხმეტ მარცლოვან ლექსით მინდა დაგიტკობ სმენა, მე ჩემი სული, დღეს ნაღვლიან ღირიზმით სავსე, სხვა გვარ ფორმაში ვერ გამოვქვი, ვერ მოვთავსე და ამ მძიმე ჰანგს საბოლოოდ შეუწყე ენა... მე მომბაზურა თავი ლექსმა ჩვენში ქებულმა: ოთხ-ოთხ სტრიქონად აკინძულმა, დალაგებულმა. სულს მიხუთავენ კანონები, მძულს სიმეტრია, მიყვარს ლექსთწყობა აბნეული, ქაოტიური,— გრძნობა ამგვარად გამოთქმული უფრო მკვეთრია, აქ უფრო მძლავრად ჰფეთქს და ღვივის ცეცხლი ღვთიური. მე სიხარულით თავბრუს მახვევს რითმა სამ წვერი, როდესაც ხმები მწყობრ ტალღებად მოიხრევიან, ვით ბროლის კლდიდან გადმომსკდარი სამი ჩანჩქერი, მწვანე ველზე რომ ღურჯ მდინარეთ გაიშლებიან!.. და თუ სტრიქონი განაპირა სტრიქონს შორეულს ღიმილ ნარევი სალამს სტყორცნის ღიმილ მორეულს, როცა მათ შორის დატყვევებულს და გამომწყვდეულს სტყვივით რითმები ლერწამივით ლამაზ სტრიქონებს,— მაშინ სხივ-გაშლით ეფინება სულს აღმაფრენა, და რაღაც ძალა უცნაური მათრობს, შიმონებს... ჩემი დახრჩობა შეუძლია ამ გვარ სტრიქონებს! მაგრამ მათ ფარულ ჰარმონიას ვერ გაიგონებს

კ. ჭიჭინაძე



მკვლევანი

ნაცრის ფერ ნისლით დაბურვილ შემოდგომის დღეს მწარე ფიქრებით გარემოცული დავებებოდი ქუჩებში.

და ვით ცის თაღი იყო დაბურვილი ნისლით, ისევე იყო მწუხარებით მოცული სული ჩემი.

ერთ მოედანზე გასასყიდად გამოტანილ ძველ წიგნებს დაუწყე რჩევა.

„ლოდიკა“ ამოვიკითხე მსხვილი ასოებით აღბეჭდილი სათაური ერთ წიგნის ყდაზე.

აი, სად ყოფილა თურმე ჩემი ბედი დამარბული, რამოდენჯერ დამწამეს ულოლიკობა, რამოდენჯერ მომიშხამეს სიცოცხლის წუთები ამ სიტყვებით: თქვენ ლოდიკურ მსჯე-

ლობის უნარი არა გაქვთო. და, აი, სად ვბოვე ეს სიბრძნის წიგნი.

მთელი ჩემი სიმდიდრე, რამოდენიმე გროში, რომელიც ჩემს ჯიბეში აღმოჩნდა, შეიწირა ამ წიგნმა, რომ ის ჩემი საკუთრება გამხდარიყო.

ამოვიღე იდლიაში და შინისკენ გავეშურე.

წამოვწევე სარეცელზე და დაუწყე ჩემს ახალ განძს გადათვლიერება.

წიგნის მესამე გვერდზე წაწერილმა სტრიქონებმა უნებურად მიიზიდა ჩემი ყურადღება:

— თუ გსურთ იცოდეთ ვინ ფლობდა ამ წიგნს, იხილეთ მე-20 გვერდი.

მძლია ცნობისმოყვარეობამ და აი რა ამოვიკითხე იქ: ბავშვმაც კი იცის, რომ

მოლიკულ

(გაგრძელება)

ზზაზე

იხ. „თ. და ც.“ № 21

ოქრო. რაღა? საუკუნოდ!

ქეთ. თქვენ წახვალთ თბილისში. ბევრს ნაცნობს შეხვედებით, მაშინ უეჭველია შესწყდება ჩვენი მეგობრობაც.

ოქრო. განა თქვენ კი არ ჩამობრძანდებით?

ქეთ. არა მგონია, თუნდ ჩამოვიდე, მოკლე ხანს. იქ სიცარიელეა, სიმჩატე, გონება უჩლუნგდება ადამიანს. ჰაერი, ბუნება ნებას არ მაძლევს თავი დავანებო აქაურობას. შარშან კი გახლდით იქა. ვაცი რა ხდება, რა აზრსა და მოქმედებას ადგანან იქ მცხოვრებნი. (ზაუხა)

ოქრო. კნიაჟნა! თქვენ გჯერათ სიზმარი?

ქეთ. სიზმარი? ბევრჯელ სიზმარი აცხადება ხოლმე. რა იყო?

ოქრო. მეც არა მჯეროდა, მაგრამ წუხანდელს აქეთ კი მრწამს.

ქეთ. გეტყობათ სიზმარს ძალზე უმოკმეღია.

ოქრო. ძალიან... მადლობასაც შევსწირავ შემოქმედს, თუ ამიხდენს!

ქეთ. ხომ შეიძლება სთქვათ?

ოქრო. რატომ. ვნახე საუცხოვო სიზმარი... ვითომ ვიდექი ეკლესიაში, სადაც დიდებული დღესასწაული იყო, ვლოცულობდი

გულმხურვალედ.

ქეთ. ცხადად კი ლოცულობთ ხოლმე?..

ოქრო. დიალ...

ქეთ. ლოცვას ეხლანდელი ყმაწვილები, რომ არ ეწყობიან?

ოქრო. სხვისა არ ვიცი, მე კი ყოველთვის ვლოცულობ ხოლმე წმინდა სალოცავზე. იმ დროს მოვიდა ჩემთან ახალგაზდა ქალი, — სპეტაკი სახით! იმისი გონიერი, მგზნებარე თვალეები ხატავდნენ მადლსა და სულის საწმინდეს! ბეჭებზედ გადაშლოდა თმის ნაწნავები, მოკლე ხუჭუჭები სახეს გარს ყდად შემოსდგომოდნენ, მოვიდა ჩამხედა თვალეში და მითხრა: გამარჯვება, მეგობაროვო! შევხედე, ვიცანი ის არსება და აღტაცებით ვუპასუხე: გაგიმარჯოს, ჩემო მშვენებავ მეთქი!

ქეთ. (აღელდება. შაგნამ არ იმჩნევს) მე-რე ვინ იყო ის ქალი? (თაგს ძიხს დახრას)

ოქრო. ის... ის... დამაცადე! მგონი კარგი ნაცნობი ქალი იყო და ვეღარ კი გამოვარკვიე, თუ ვინ უნდა ყოფილიყო.

ქეთ. მერე?..

ოქრო. მერე გვერდით ამომიდგა და მითხრა. მე ვიქნები შენი საუკუნო მეგობარიო. მისმა ანგელოზურმა ხმამ მომაჯადოვა. მისი ხმა საუცხოვო ჰიმნად გაისმა წმინდა ტაძარში. ამავე დროს ჩემს ზემოდ საყდრის აივნებიდან მგალობელმა გუნდმაც დაიდაძყო:



ნინო ჩხეიძე ახალგაზღვრებაში

შისი გასტროლების გამო თბილისში: ორშაბათს, 30 მაისს, სახანო თეატრში „ლალატუნი“-ში ზეინაბის როლს შეასრულებს, 7 ივნისს სახ. სახლში—მარგარიტა გოტიეს.

წმინდა ხარ, წმინდა ღმერთო ჩვენოვო. . მეც მას გრძნობით შეეფუტეთ: და წმინდა იყვეს მეგობრული კავშირიც მეთქი!

ქეთ. მერე?

ოქრო. მერე სიზმარი სინამდვილედ შეიცვალა. ის სიზმარი ახდება მით, რომ შეიძლება ვისთანმე ახლო მომავალში დაემეგობრდე. (ღიმილით შეხუდავს)

ქეთ. (გაწბალებული) ბევრი გიფიქრიათ, კნიაზო, და მგონია ეგ ფიქრის ნაყოფია, რადგან სიზმარი ფიქრია და სხვა არაფერი!

ოქრო ბევრჯელ, როგორც თქვენ ბრძანეთ, სიზმარი ცხადდება ხოლმე, აგრედვე ხანდახან ფიქრიც ცხადდება!..

ქეთ. იშვიათად!

ოქრო. შეიძლება, მაგრამ ზოგჯერ ახდება ხოლმე. (აღგება) ახლა კი უნდა წავიდე, რადგან ცოტა საქმე მაქვს, შეიძლება ხვალ სრულიად დავამთავრო, ხვალ ერთი კიდევ დამპირდება თქვენი ჯერო, დღეს ვერაფერი გავაკეთე. მეჩქარება ნახვამდის! (ხუჯზე ჭკოცნის) ჩვენ ხომ მეგობრები ვართ?

ქეთ. (შეჭკრთება) დიად!..

ოქრო. ყური უგდოთ წუხანდელ სიზმარს.

ქეთ. განა ყოველ ღამე შეიძლება ვნახოთ ის, რაც სასურველია!

ოქრო. რატომ, შეიძლება!

ხმელეთის სამი მეოთხედი სივრცე წყალს უბყარია, ვინ არ იცის რომ მიწის სიღრმეში ჯერ კიდევ აღურიცხველი ოქრო და ვერცხლია ხელუხლებელი, მაგრამ ვინ იცის, თუ რა მხდის იძულებულს ეს წიგნი გავყიდო? დანარჩენი იხილე აქედან 10 გვერდზე.

ენახოთ შემდეგ რას იტყვის ეს უცნაური მწერალი.

— ჩემო ძმაო აქ უხერხულია წერა, გადაშალე კიდევ თექვსმეტი გვერდი.

აჰა 16 გვერდიც.

გეტყობათ ლოლიკაზე მწყლარათა ხართ, თორემ რა თქვენი საქმეა ჩემი ვინაობის გამოკრევეა? თუ არ დაიშლით, აქედან მეხუთე გვერდი გეტყვისთ ჩემს ვინაობას.

კიდევ არ დამანებთ თავი? ულოლიკო-

ქეთ. როგო?

ოქრო. რომ ვიცოდე გიამებოდათ, წამალს გასწავლიდით.

ქეთ. აბა სთქვით!

ოქრო. გიამებათ?

ქეთ იქნება!

ოქრო. მართლა?

ქეთ. კარგია, სთქვით!

ოქრო. (მნიშვნელობით) ილოცეთ!

ქეთ. ვილოცო? (შაუხა) მერე რომ ვილოცო ვნახავ?

ოქრო. უეჭველად.

ქეთ. რადა?

ოქრო. იმისთვის რომ... ვერ გეტყვით ამის მეტს, რომ უნდა ილოცოთ!

ქეთ. მაინც სთქვით.

ოქრო. ილოცეთ, ქეთინო, რადგან წმინდა სიყვარულს ყოველთვის ლოცვა-ვედრება მოსდევს! ნახვამდის! (საჩქაროდ გადის)

ქეთ. (თვალს გადაუწვებს ოქროს და შემდეგ ხმა ამოუღებელივ შიშიმედ სკამზე დაეშვება)

ფ ა რ ა

მოკვამდობა იმსაგე

(სურათი შეხუთე)

(თავ. როსტომის სასტუმრო ოთახი, მდიდრულად მოწყობილი. კნ. მაკინე ფანჯარასთან ახლო ზის. შავი-დასთან კი კნ. გაიანე და საყრავს კვრავს)

ბასთან ერთად ნება მომეცით უგუნურებაც შემოგწამოთ. თქვენ ვერას დროს ვერ გაიგებთ იმ ადამიანის ვინაობას, რომელიც ამ წიგნს პაპიროსის გულისათვის ჰყიდის. მშვიდობით.

ოჰ, ლოდიკა! ლოდიკა!

და ეს თავხედი, ეს უგნური, რომელიც წიგნს პაპიროსის გულისთვის ჰყიდის, მე ულოლიკობას წამეგბს.

რა წამეგბაა! შორს თქვენი ლოდიკა! თქვენი სიბრძნე.

წიგნი იატაკს დავანარცხე.

პაწია სურათი გამოვარდა წიგნიდან და ასულის ნაღვლიანი სახე ორაზროვან ღიმილით შემომამკერდა.

საბრალოს წვრილი ასოებით წაუწერია



მგოსანი სანდრო შანშიაშვილი

მისი ისტორიული პიესის „უგვირგვინო მეფენი“-ს დადგმის გამო სახალხო სახლში პარასკევ-შაბათს 3-4 ივნისს.

მაკინე და გაიანე.

მაკ. მართალს ამბობ, განო? მაშ ვერ ვიკარებთ ახლო მზეთ-უნახავ ქეთინოს?

გაიანე. შენმა სიკოცხლემ, ზედ გადავაკვლი, მაინც არ იქნა და ვერ მოვიყვანე. სულ ერთთავად იმას გაიძახის, არა მცალიან, საქმეები მაქვსო!

მაკ. ერთ რიგად კარგია, რომ ოქროს მოსწონს სხე-გან აღარ გაიწვევს, თუმცა შიში მაინც არ მეშვება!

გაიანე. რისა გეშინიან?

მაკ. ეგ მოწონება ვაი თუ ნამდვილ გრძნობად გარდიქცეს!

გაიანე. არა მგონია!

მაკ. რაღა ვქნათ ასე რომ მოხდეს?

გაიანე. რაღას ვიზამთ!

მაკ. ღმერთმა იმ დღეს ნუ მომასწროს, მაშ ძმის ბედნიერება არ გინდა შენა?

გაიანე. რას ლაპარაკობ? ძმის ბედნიერება არ უნდა განოს?

მაკ. ჰოდა, თუ ოქროსთვის ბედნიერება გსურს, გაუფრთხილდი. ცოტა ოსტატურათაც რომ მოიქცე, ძალიან კარგი იქნება. ჩვენ უნდა ვეცადოთ, განო, ყოველის ფერი გავიგოთ ხოლმე, რაც კი მოხდება ოქროს და ქეთინოს შორის. თვალყურის დევნაა საქირო. შენ უნდა დაუახლოვდე ქეთინოს. ის, რომ

გორც გავიგე, თუმცა ქკვიანია, მაინც ყმაწვილია, გამოუცდელი. შეგიძლიან დაიხლოვო, როგორმე გულის პასუხი ამოიცნო, თავი უჩვენე ისე, ვითომც მისთვის ზრუნავ, ძალიან გინდა ოქროსთვის. მარტო მაშინ გაიგებ ყველაფერსა.

გაიანე. მერე მაგითი ოქროს რა შეემატება?

მაკ. დაიცა, განო, სიტყვას ნუ მაწყვეტილებ. ქეთინოს შეატყობინე, რომ ოქროს მოსწონს, კიდევაც უყვარს, მაშინ ნახავ, როგორ მოიქცევა. მინდა ჩვენს გაუფებრად არა მოხდეს რა, მაგათ შორის. გაიგონე?

გაიანე. ძალიან კარგი, მაგრამ აგრე დაბეჯითებით რად ამბობ მაკო? ოქროს და ქეთინოს შორის არა არის რა ისეთი, რომ რაიმე შედეგი მოჰყვეს. ყმაწვილს ისე მოსწონს, როგორც კარგი ქკვიანი და გულკეთილი ქალი. მე დარწმუნებული ვარ ქეთინო ისე ძმურად უყურებს ოქროს! თუ მოსწონთ ერთმანეთი, ამაში რა არის საშიში?

მაკ. მოსწონს, ცდილობს მის ნახვას, გეხვეწება როგორმე შემოაჩვიო აქ, დღე თუ ღამე იმაზე გველაპარაკება, ნუ თუ, განო, ეს ცოტაა? მოწონება სიყვარულად რომ გარდიქცეს?

გაიანე. რა უყოთ, ყმაწვილია, პირველში მაგან აგრე იცის ხოლმე, მერე ჩვეულებ-

სურათის მეორე გვერდზე: ჩემს სახსოვრად ატარე იგიო.

ხა! ხა! ხა! ეს ასული აგერ ზევით მეორე სართულში არ სცხოვრობს? იქნება ის ყმაწვილი ბრძანდებოდა ამ წიგნის პატრონი, რომელიც მასთან ხშირად დადის სტუმრად? ხა! ხა! ხა!

და მართლა მე ულოლიკო, უგუნური ადამიანი ვიყვე თუ არ გავიგო ვის ეკუთვნოდა ეს წიგნი.

— ნებას მომცემთ?

— მობრძანდით! ჩამოჯექით!

— გმადლობთ! მე ისე შემოვიარე, რომ გაგაფრთხილოთ ნხოლოდ, ცეცხლს ნუ გაე-თამაშებთ, თორემ!..

— რას ნიშნავს თქვენი სიტყვები, გამაგებინეთ, — წარმოსთქვა საბრალო ქალმა და მთელი სხეულით დახატა.

— მე დღეს ნობათი მივიღე, გაეხსენი და თქვენი სურათი იყო შიგ, რომელზედაც აი რა წაგიწერიათ: „ჩემს სახსოვრად ატარეთ“, უნდა მოგახსენოთ, რომ მე ესეთს ხუმრობას ჩვეული არა ვარ.

— ახ! ეს თქვენ მოგიპარათ!

— ქურდობასაც მწამებთ? ვისთვის უნდა მომეპარა? იქნებ იმ ყმაწვილისთვის, ეხლახან ღურჯი ქუდი რომ დაიხურა და იმისდა ნაცვლად რომ უნივერსიტეტში წასულიყო ლექციების მოსასმენად, თქვენ გიკითხავსთ ლექციებს სიყვარულის ჰანგზე?

საბრალო ასული დაეყრდნო ორივე ხე-

რივ დაიყვავილებს.

მაკ. ეგრე უნდა იყოს, მაგრამ ამისრულე დავალბებელი.

გაიანე. ბატონი ხარ! (შემოდის გოგო)

გოგო. ქალბატონო, ვილაც კაცია, კნიახსა კითხულობს.

გაიანე რომელ კნიახს?

გოგო. ოქროს, ბატონო! მგონი წერილი აქვს!

გაიანე კარგი, წადი. მე ვიცი! (გოგო გადის) იქნება ტიტუკოსაგან იყოს? აბა, გავალ, ვნახამ და, თუ მართლა იმაზეა, გადავცემ.

მაკ. ჰო, ჰო, წადი მალე, ერთი შენიტყე თუ მართლა ტიტუკოსაგან არის, რასა სწერს?

გაიანე. ეხლავე. (გაგა)

მაკ. (მარტო. სახეზე შაში დაეჭობა) ნეტავი რას უნდა სწერდეს ტიტუკო? ოხ, აღარ ვიცი რა ვქნა? ახლა ქეთინო გამიხდა სადარდელად! დაახლოვება ოქროსთან რაღა შეველოება, რომ ოქრო მაგას გადაეკიდოს, ერთ ღარიბ-გაწყალეზულს. განა ოქროს მაგისთანა მეთუღლე შეჭფერის? რას ნიშნავს ოქროს აღფრთოვანება ქეთინოსადმი, რომ სულ ის ელანდება ცხადლივ თუ სიზმრად! (შემოვა კნ. გაიანე)

II

მაკინე და გაიანე.

მაკ. რა იყო, განო, ვისგან სყო წერილი?

გაიანე. ტიტუკოსაგან!

მაკ. რასა სწერს, არ იცი?

გაიანე. არ ვიცი სწორე გითხრა. ოქროს გადავცი. რა ძალიან გესწრაფება მისი გაგება. ოქრო ხომ ჩვენთან არაფერს დამალავს?

მაკ. ეგ კი მართალია! ოქრომ დფარვა არ იცის. თავის დღეში უჩემოდ არას გააკეთებს. უსათუოდ იმაზე სწერს, რომ მალე წავიდეს მასთან კიდევ და დასცინცლოს ფულები, გააბას რაიმე მახეში!

გაიანე. არა მგონია, მაკო, რომ ტიტუკოს ცუდი უნდოდეს თავის ძმისათვის?

მაკ. არა მგონია და ასე კია, ჩემო კარგო! შენ ტიტუკოს ვერ იცნობ. (დადის) ჰმ, განა მე იმისი გაუტანლობა დამავიწყდება. თუ კი დსთვის იყო ასეთი შეუბრალებელი, ძმისთვისაც ისეთივე ხარბი იქნება! რასაკვირველია, იმის ანიკოს არც ეყოფა თავის ქმრის შემოსავალი. უნდა სხვასაც გადასწყედეს (შიდის) განო, მე გავალ და თუ ოქრომ მიკითხოს, შემატყობინე.

გაიანე. კარგი, გენაცვალე, შენ მაგდენი ფიქრი, წუხილი არ გარგებს. წადი ცოტა ხანს მოისვენე. (მაკინე გადის)

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ლებით მაგიდას და აქვითინდა.

— ნუ სტირით, გსურთ იცოდეთ რა გზით
?ოაღწია ამ სურათმა ჩემამდის?

— ღვთის გულისათვი! მითხარით! მამა-
ტიეთ რომ შეურაცხყოფა მოგაყენეთ.

— მე მსურდა დავრწმუნებულიყე მხო-
ლოდ, თუ რაედენათ ახლო ვიყ-ვი სინამდვი-
ლესთან და იმითმ დაგირღვიეთ მყუდროება,
ეხლა კი გავიგე მისი ვინაობა, რომელიც დი-
დათ მაინტერესებდა. ცუდი არაფერი იფიქ-
როთ. შემთხვევით ძველი წიგნი ვიყიდე მო-
ედანზე და ეს სურათი შიგ აღმოჩნდა. ეჰ, რა
უყოთ რომ ძველს წიგნს თან გაჰყოლია და
მატებათ თქვენი სურათი? ნახვამდის. მამა-
ტიეთ.

ნაცრის ფერ ნისლიდან მორცხვად გა-



ირაკლი ლუკას ძე ბაქრაძე (1863—1916)

28 აპრილს ამა წლის სული განუტევა
ირაკლი ბაქრაძემ. ეს იშვიათი ადამიანი ფართე
სახოგადობაში არ იყო ცნობილი, მაგრამ ვიწ-
რო წრე, რომელიც მას კარგად იცნობდა, ძალიან
დიდათ აფასებდა.

ირაკლი იყო იშვიათი ზედაგოგი, საუკეთე-
სო აღმზრდელი ახალ თაობისა; იგი განუწმენტ-
დივ ემსახურა ამ წმიდა საქმეს მთელი 28 წლის
განმავლობაში და დამსახურებული ჰქონდა არა
თუ თავის მთავრობის ყურადღებას, არამედ უფრო
მეტად იმ სახოგადობისა, სადაც მას უხდებო-
და მოღვაწეობა. უმეტესი ხანა თავის სამსახუ-
რისა (24 წ.) გაატარა უარსში, და არა ერთი და

მოკრთა მკრთალი სხივი შემოდგომის მზისა
და ჩემს სევდით მოცულ სახეზეც რაღაც უც-
ნაური ღიმილი აციალდა. ამაყად დავცქერო-
დი იატაკზე დანარცხებულ ძველ წიგნს.

როგორ? ულოლიკობასთან ერთად უგუ-
ნურობასაც მწამებდით? ეხლა ხომ დარწმუნ-
დები, მოწყალეო ხელმწიფევე, რომ მე ლო-
ლიკას სრულებით არა ვარ მოკლებული? მე
მშვენივრად მოვისაზრე, თუ როგორ გამეგო
თქვენი ვინაობა?

ნაცრის ფერ ნისლიდან გამომკრთალი
მზის სხივები უფრო და უფრო მიცხოველებ-
დნ ნაღვლიან სახეს, ზედა სართულიდან კი
წყნარი, ჩუმი, ტირილი მოისმოდა საბრალო
ასულისა.

მინ. ბოჭორიშვილი

ორი დირსეული მოქალაქე აღუზარდა ამ მხარეს.
უკანასკნელ ხანს კი მისხურებდა ქ. არტანუში,
როგორც ზედამხედველი საქალაქო სკოლისა.

ირაკლი იყო პრაგინციულურ ქართველ სა-
ხოგადობის სული და კული; იგი იყო ხალხე
მთავე თავის მოძქეთა შორის ყოველივე ქარ-
თული საქმისა, წარმოდგენებისა, სადამოსი, თუ
სხვა კულტურული გასართობისა და საქველ-მოქ-
მელო მოღვაწეობისა.

ი ბაქრაძე იყო დიდათ განვითარებული და
განათლებული ქართველი; თუმცა მას მხოლოდ
სამსწავლეობო ინსტიტუტი ჰქონდა გათავებუ-
ლი, მაგრამ მის მოწაფეობის დროს—თხზომო-
ციან წლების ქართულ წრეებში იღებდა მონაწი-
ლე ბას, სადაც ცდილობდნენ ავითგანვითარებას,
და სწორედ ამ გზით მოსიარულემ მიაღწია შე-
სანიშნავს შედეგს.

ის ახალგაზღობიდანვე იღებდა მონაწილე-
ობას ლიტერატურაში, სანამეტნაოთ საბავშოში
თითქმის მუდმივი თანამშრომელი იყო თავიდან-
ვე „ჯეჟილისა“. ვის არ ესმოება იქ დაბეჭდი-
ლი „უზობის ცხოვრება“, მოთხრობის კილოზე
დაწერილი! აკრედე თარგმანი საბავშო გეოგრა-
ფიისა— „სამყარო“, რომელიც რაედენივე წლის
განმავლობაში იბეჭდებოდა იქვე.

ირაკლი დაიბადა ს. ხაშში, 1863 წ. ხვე-
ნი ისტორიკოსის დიმიტრი ბაქრაძის ბიძაშვილი
იყო, მის ოჯახში გაზრდილი და დიმიტრის
დიდი გავლენა ჰქონდა მასზე.

სათნოინი ღამიანი და კეთილი გულის მატრანი მუდამ მზათ იყო მოძმეთა ხელის გასწვდნათ, რავდენადც კი შეეძლო; და არცა მხოგად თავის ჭანსა და ღონეს, ხშირად ჭიბესაც, ღარიბ შევირდების სწავლებაში და მათს ტახზე დაუენებაში.

უზომო და განუწყვეტელმა შრომამ ეს მხნე და ჭიანისი ღამიანი უღრფოდ კატებსა, დასვად-მეფთა და ბოლოს, სულ მცირე ხნის მაგრამ სსსტიკი ავადმეფობის შემდეგ, კიდევ იმსხვერ-ზლა, ჯერ კიდევ 53 წლისა.

იგი მძიმავლ წდიდარ აზიარება თავის სამ-შობლო სოფ. ხაშში გადმოსვლას და იქაურს სკოლის გადღვას, რცა იგი გადაკეთდებდა პირველდაწყებით უმაღლეს სკოლად. მაგრამ ბედ-მა გვიმტუფუნა იმასაც და ჩვენც.

შაინც მისი კეთილი ხსოვნა დაუვიწყარი იქნება, რცოვრც თავისიანებში, აგრედვე იმათ ში, სადაც მან გაატარა უმთავრესა ხანა თავისი მოღვაწეობისა.

საუკუნოთ იუფს სასსენებელი შენი, ძვირ-ფასო ირაკლი.

ნარვილი

ერთად-ერთი მარჩენელიც...

ზაფხულის კვირა დღე იყო. სოფლის სასამართლოსთან შეკრებილიყვენ გლეხები და დიდი ხმით რაღაცაზე ლაპარაკობდნენ. ყველას რაღაც დარდიანი გამომეტყველობა ჰქონდა სახეზე. ოთხიოდე გლეხი ცალკე იჯდა ხის ქვეშ, დაღონებული, გაჩუმებული.

— არა, ი დალოცვილები ერთმანეთს ეჩხუბებიან, თავისი ხალხის ჯავრი თუ სქირთ, ჩვენ შვილებს რაღას ემართლებიან, და გვიმწარებენ ლუკმა-პურს? სთქვა ბოლოს ერთმა გლეხმა.

— აკი რო ეგრეა! ი ჩვენებიანთ ზაქროსი არ იყოს, წაართვეს შვილი და აქამდის არ იცის ცოცხალია თუ მკვდარი!

— რაღა შორს წავიდეთ, აქ არა ვარ? ისეთი ბიჭი მოძიკლეს, რომ სახე თურაშაულს უგავდა

წაილულლულა ვიღაც ბერი კაცმა და გამოავლო ორი ცხარე ცრემლი.

ყველანი მიჩერდნენ მოხუცს, რომელსაც

აუწერელი მწუხარება გამოჰხატვოდა სახეზე.

— საწყალი დედობრიანთ მარიკოსი არ იყოს, — განაგრძო ისევ პირველმა: გერმა ხომ სულ თავი დანება და პატარა ბიჭის ინაბარას გაავლო, მაგრამ ღმერთმა უშველა, ბიჭი მალე წამოეზარდა, დაეჯაცდა, ძალიან ქვეყანი და გამგონიც არი: რომელი ახალგაზდა დაედრება მუშაობაში ან სიმღერაში? რა საამური დასნახავია, როცა საღამოთი გულ-გაღელილი მოუძღვის მუშებს და სიმღერას დასძახის. გაიხარა ქვრივმა მარიკომ, მაგრამ დახე. ბელსა: რო თქვა ღმერთმა მომხედა და წელში გავწორდიო, უბედურება ეწვია... მოწერილობაა, აღექსანდრე უნდა წამოვიდესო.

— მერე მარიკო ვლასაო? ერთად შეეკითხნენ გლეხები.

— რა ვიცი...

.....

— ღვთის გულისათვის, გამატათ მე უბედური! — გაისმა დიდაკაცის ხმა. ხალხის ჯგუფი გაიყო და შუაში გაიბრინა ვლაცამ. ეს გახლდათ მარიკო. მამაკაცები განცვიფრებულნი შესცქეროდნენ მას.

— რას მიყურებთ, ხალხნო, მითხარით, სად არი მამასახლისი? შემობრალეთ მე თავმკვდარი, აღექსანდრეს მართმევენ... ღმერთო, რას შემასწარ მე უბედური.

— მამასახლისი კნცელარიაშია. — დაიძახა რავდენიმე გლეხმა.

მარიკო გაეშურა სასამართლო ოთახისკენ, დაუკითხავად შეალო კარი და მუხლებზე დაეცა მამასახლისის წინ. როცა მარიკომ ტირილით გული იჯერა, შეხედა მამასახლისს და შეჭბავლა:

— მიშველე შენი სახლის ქირიმე, შემობრალე ქვრივ-ოხერი, გამინთავისუფლე აღექსანდრე.

— ჰმ! ფულის საქმე არ არის? შენ დამზადე!..

— ოღონდ ეშველოს რამე და სულს არ დავზოგავ შენთვის, შენი ქირიმე! იმისივე შრომით ნაყიდს საქონელს გავყიდი და შენს შრომას კი იგრე არ ჩავატარებ.

— მაშ ცხლა წადი და საღამოზე ჩემთან მოდი სახლში. გაიგე!

მარიკო გაჩუმებული გამოვიდა გარეთ. ხალხი უკვე დაშლილიყო. თავჩაღუნული წავიდა მარიკო შინ, ჩავიდა გომში და გამოიყვანა უღელი კამეჩი. მუშტარაც მალე იშოვნა, გამოართო ფული, უკანასკნელად შეხედა თავის საქონელს და გაეშურა მამასახლისისაკენ. მამასახლისმა ჩაიღო ფული ჯიბეში და დაჰპირდა შეველას... მარიკო წამოვიდა შინ. აქა—იქ სიარულში დაულამდა კიდეც.

ლამე მშვენიერი დადგა. მოკრიალებულს ცაზე სცურავდა ამ კი მთვარე, რომლის შუქზედაც ათას ფერად ბზინავდა ნამი. ირგვლივ ფეხის ხმა და ლაპარაკი მალე შესწყდა. ჩვეულებრივ გვიანობამდის აღარ ისმოდა ახალგაზრდების სიმღერა და თამაშობა. ან კი ვიღას ახსოვს სიმხიარულე. ამ მეფურს სიჩუმეს არღვევდა მხოლოდ იშვიათი ძაღლის ყ ფა და დაულალავი ბუღბუღის სტვენა მაგრამ რავდენათაც შუქიანი იყო ღამე და მხიარული კიდეც ბუღბუღი, იმდენად ბნელი და დაღონებული იყო მარიკოს გული. მ სი დაწითლეუბული თვალები მალ-მალ იყურებოდნენ გზისკენ, თითქოს ვიღაცას ელოდნენ. მალე მოისმა ფეხის ხმა და მარიკოს ეზოში რუფზე ღიღინით გადმოხტა ახალგაზრდა ტანადი ვაჟკაცი. ეს გახლდათ მარიკოს ალექსანდრე. იგი უკვე შესრულდა ოცი წლისა, მაგრამ მისი ტანადობა და სიყოჩაღე არ ეთანხმებოდნენ ამ სინამდვილეს. ალექსანდრეს სახეზე გამოჰხატვოდა მწუხარება, რომელსაც ძალიან მალავდა. ალექსანდრემ ასე გვიან რომ დაინახა დედა გარეთ, მ რტოკა, გაუკვირდა და ჰკითხა:

— დედილო, რათა ხარ აქ ასე გვიან და არა გძინავს? მე კი ტოლებში ვიშხიარულე. მგონი სულ ჩემზე ფიქრობ, და მე კი შენ თავს განებებ.

მარიკომ შეანათა შვილს თვალები და მწუხარებით წარმოსთქვა:

— მაშ ვ სხედ ვიფიქრო მე უბედურმა, ვილა დამრჩენია შენს მეტი?

— მამასახლისთან იყავი, გაიგე რამე?

— ვიყავი, შვილო, ფულიც მივეცი და დამპირდა, გიშველიო.

— საქონელი ძალიან ხომ არ დაგენანა, დედი? მე კარგად ვიყო, თორემ უფრო კარგს ვიყიდი...

დედა-შვილი კიდეც დიდხანი საუბრობდნენ და ბოლოს დაწვეს. მარიკოს მთელი ღამე არა სძინებია. მეორე დღეს ალექსანდრე სამუშაოდ წავიდა, მარიკო კი ისევ მამასახლისთან, რომელიც ძალიან აიძვებდა.

განვლო რავდენიმე ღამემ. მარიკო დაიმედებული იყო, რომ საქმე კარგად წავიდოდა, მაგრამ დახე უბედურობას: ერთ დღეს, როცა დედა-შვილი ჩვეულებრივ ტკბილად ლაპარაკობდნენ, უცებ ვიღაცამ დაიძახა: „ალექს!“ დედა-შვილი წამოდგნენ და მივიდნენ ეზოს კართან.

— მამასახლისმა—შენც მისდინარო. ხვალე ადრე ჩამოდი კანცალარია და სხვებთან ერთად წახვალ.

ორივენი მალე მიხვდნენ გზირის სიტყვების აზრს. შვილმა შეიკავა თავი, მაგრამ მოხუცმა დედამ კი ვერ აიტანა ეს ამბავი:

— როგორ? განა ჩემი ალექსანდრე მიჰყავთ? ჩემი ერთად-ერთი მარჩენელიც? მერე მამასახლისი რაღა პასუხს მაძლევს?

მაგრამ საბრალო დედას პასუხს არავინ აძლევდა... ალექსანდრე ჯარს გაუყენეს, გულშეღონებულ მარიკას-კი, რომელსაც სიცოცხლის პირი აღარა ჰქონდა, დედაკაცები დასტრიალებდნენ თავს... **ზარბარე ყიფიანი**

შ რ ა ნ ჭ ი ე ბ ი

მაშინ მიყურეთ თქვენ უკანიდან, როგორა ვთრთოლვარ, როგორ ვირხვევი, კუნთები კუნთზე გადი-გადმოდის, ცქრიალ-ცახცახით ფამფალი გააქვსთ.

მერე, პრანჭივ, ვინ მოგცა ნება ძალად მიიპყრო შენ სხვისა თვალი და ტანის რხევით, კურ—მის ქნევით ძალადა ჰბადო სქესური გრძნობა?! ნუ თუ არ კმარა ჩვენ შეგხაროდეთ შენში სინაზეს, ქალის მშვენიებას?! რად უხვევ შენს გზას, რად გვირევე გზაკვალს?! სქესობრივ გრძნობა შენგან წვეული

მხოლოდ ეკუთვნის შენს მეგობრის გულს, სავარელს მიჯნურს, შენ კი მუდამა სიარულშია ცდილობ მრავალ გვარ ოინობითა, ასოთ ცახცახით, დ—მების ქნევით ყველგან დაჰბადო სქესური გრძნობა ღმერთო, გვაშორე! ღმერთო გვაშორე! ჩვენო, პრანქიავ, შენ დაგვიფარე!

—აბა, მზადა ვარ, ახ, ჩემო სარკვე! მთლად ვერ მაჩვენებ, არა უშავს რა, ნაქერ-ნაქერად... არა, ხორცი არ სჩანს, სრულებით არა, ისე ცოტათი არა უშავს რა. სხვებს მეტი უჩანთ ჩემზე დიდებსა, მე ხომ მარტოკა ოცდა ათში ვარ...

—სტყუი, პრანქიკო, ყველაფერი სჩანს: საცვალ-პერანგი, გული წინადან, უკან ბექები, ტიტველ ფეხები და კიდევ, კიდევ, ჩემო პრანქიავ, ილღიებიდან შავად რა მოსჩანს?! ახ, ღმერთო ჩემო, განა ვერ ხედავთ, აგერ სარკვეში კარგად უცქირეთ! ჰო, დაინახე?.. კიდევ არ კმარა?! სხვა რაღა გნებავთ? მოიცათ ცოტა მოთმენა გქონდეთ, მოლა მოგივათ პარიზიდანა, სხვასაც აშკარად გამოამჟღავნებთ... მე კი მხოლოდა ამისლა ვიტყვი: თქვენ გათამაშებთ თვისი ჯიბისთვის სქელი ვაჭარი, გაუმადლარი. მსოფლიო ბაზრის თვალი ქვიანი მუდამა მსჯელობს და ანაწილებს მოსულს საქონელს, თვის სიმდიდრესა. თუ კი ბაზარზე წელს მეტი არის ფ რჩა, მიტკლი და გაზი მკრთალი, თქვენც გატარებენ ფართო კაბაში, შიგნით გამკობენ ათასფეროვნად, —და მაშინ, როცა მსოფლიო ბაზარს მოუვა მეტად ცოტა მასალა, თქვენც მოლა გიძღვნით ვიწრო კაბებსა. ყველა ამას ჰყავს პროფესორები, დიდი მხატვრები და ინჟინრები, ყველა იგინი მხოლოდ მატობენ ფაბრიკანტების მილიონებსა. მათი კრებული ლამაზ პარიზში მუდამა მსჯელობს თქვენს იკბკაზე, მუდამ იგონებს თქვენთვის მოდასა, მოდა! დვთაებრივ სანეტაროსა. და შენც, პრანქიავ, ფულსა აბნევ, ყოველთვის იცვლი ახალ მოდასა, ჰფიქრობ ყველასა ერთი იგივე კარგად უხდება და ეთვისება.

ოხ, რა ლამაზად გიხდება თავისებური საცმელი, როს შენვე იმკობ შენს თავსა შენივე გამოგონებით! ოხ, ჩემო, ჩემო, კარგო

პრანქიავ, გატყობ რომ გძულვარ სიმართლისთვისა, მაგრამ რა გიყო, უნდა მოგიტხორო.

ერთი შეხედეთ იმ ოთახშია, სად მოგ როვილა ქალთა ჯგუფია, სალამოს ბალში გაშმაგებული ყველა იკაზმის, ფაციფუცშია. ერთი მეორეს ქანჩებს უჭირებს, თორებითა ჰკრავს მუცელს კორსეტში. აგერ მეორე ღამის წინა ზის ცხელი მამუბითა თმას ზედ იდაგვის, აგერ მესამე გრებილ ქალღმერთ კულულებს იკრავს ვაი-ვაგლახით... ეს ვილა არის ცალკე ოთახში, ორმოცი წლისა უკაბოდ რომ ზის?! წვრილი შვილები გარს შემორტყმა და იშვილიებს მათსა თათებსა.

„აჰა, დედილო, მაშა მზად არის“,

„აი, დედიკო, პუდლი აქ არისა“.

„მოიცათ, შვილო, ჯერ თმას მოვრჩები და მერე პუდრი, კრემდეკ. ზიმირ აქ მომიტანეთ“.

„ქართლის დედაო! ძუძუ ქართლისა

უწინ მამულსა უზრდიდა შვილსა;

დედის ნანასთან ქვიინი მთისა

მას უმზადებდა მომავალ გმირსა“.

ჰო, ჰო, სწორედ რომ ჩვენმა დიდმა ილიამ ესე სიტყვები შენ შემოგთხუზა, და შენც, პრანქიავ, ისეთივე ხარ!?. კრემდეკა-ზიმირს, პუდრს და მანებსა გულში უნერგავ შენს გოგონებსა! დიად, ბატონო, რასაკვირველია, კარგი ნანაა, ვფიცავ თქვენს მხესა!.. დასასრული შემდეგ.

ილია



იასონ შიოს ძე ჩიხლაძე

უნტერ ოფიცერი, გორის მაზრის ს. ატენიდან ვიმყოფები დაქრილი თბილისში მიხეილოვის საავადმყოფოში.

ქართველი ჯარის-კაცის თავგადასავალი*)

ბედმა დამჩაგრა წყეულმა,
 ვერ გავახილე თვალიო.
 ხელთ მამცა ტანჯვის შარბათი,
 მ-ბრძანა— „უნდა დალიო“,
 გადაიხადე სიკოცხლივ,
 ეგ არის შენი ვალიო.
 ვერც გაუბედე უარი,
 არც გამივიდა ძალიო.
 იძულებულმა მივიღე,
 ვსვი და შევიქენ მთვრალიო.
 მას შემდეგ გულზე მ დგია
 განუკურვალი ქვალიო.
 ვკვნესი და ვკვნესი მუდამ დღეს,
 მშველელი არსად არიო...

კალმით ვერ აიწერება
 ბედი ქართველი კაც-სა:
 უნდა დატოვოს სამშობლო,
 გახდეს ნატრული მის ცისა...

...ყველა გვიყვირის ვით მონას,
 გვეჩოთირება ბრძანება,
 თუ არ გისინჯამთ, ვერ იგრძნობთ
 ძნელია ჩვენი წვალება.

ბევრს დავიძახებთ ხანდახან:
 „ვაი, მშობელო დედაო,
 სადა ხართ ჩვენი და-ძმანო,
 ნათესავებო ყველაო?“
 მაგრამ ვერავინ გვიშველის,
 ამ დასაქცევ ნებანშია...

ყოველ დღე სიკვდილს მოველით
 მიგვდევნიან როგორც თხებსა
 ერთხელ ვიყავ, ქვე ვიგემე
 ავსტრიელი ცხელი ტყვია,
 სიკვდილს უკვე გავეცანი,
 მისი ხერხი შემიტყვია.

ბევრიც ვიწვალე ქრილობით,
 ბევრიც დავღვარე სისხლია.
 თვალეზი მიბნელებოდა,
 დგებოდა შავი ნისლია.
 მათრიეს ლაზარეთებში,
 დამისვეს ქრილზედ იოდი,

ვწყველიდი ჩემ ბედ-იღბალსა,
 გამწარებულიც ეკიოდი.

შეორეთ გახლდით საომრად
 გერმანეთისა მხარესა;
 იქაც გავცადე ქრილობა,
 არ გავექეცი მოძმესა.
 მერე იქიდან შევთხოვე
 ოსმალეთისა მხარესა.


ისევე ვარჩიე სიკვდილი
 ჩემი სამშობლოს მხარესა.
 სასიკვდილოთ გამამზადეს,
 ამბობენ „სისხლი ღვაროსო“.

მივდივარ, ყველავ, მშვიდობით
 მოსვლა კი ღმერთზე ჰკილია,
 თუ არ ჩამიტყდა ოხერი
 ჩემი სიკოცხლის ხილია.

მივდივარ, ნათესავებო,
 ან მნახამთ და ან მოვკვდები,
 მაგრამ ეს მტანჯავს, სამშობლოს
 მკვდარი-ცოცხალი ვშორდები.

ოთხჯერ გახლავართ დაქრილი,
 დახე ჩემს ბედის წერასა:
 ნეტავ თუ კიდევ ველირსო
 ჩემის სამშობლოს კერასა!..

უნდგრაფიცერი იასან შიფს ძე ჩისლაძე.



თამარობა ხაშურში ხაშურის საზოგადოებაჲ
 ხაშურის დრ. წრის თაონობით ადგილობრივ სათუ-
 ტრო დარბაზში იდღესასწაულა 5 მაისს (რადგან 1 მა-
 ისს კოკისპირულმა წვიმამ შეუშალა ხელი). დასახული
 პროგრამაც, 4 განყოფილებად, ჩინებულის ანსამბლით
 იქმნა შესრულებული: 1, რეფერატი „თამარ დედოფა-
 ლი და მისი დრო“, წაიკითხა კონ. გაგუამ; 2, კ. მე-
 სხის „შოთა რუსთაველის“ მეორე მოქმედება; 3,
 „ორიოდე სიტყვა თამარის დროის და თანამედროვე
 სქესთა დამოკიდებულებაზე“, — რეფერატი წაიკითხა ქ.
 ეკატერინე ყიფშიძის ასულმა; 4, ქართული სიმღერე-
 ბი — შაქრო ტალაყაძის ლოტბარობით, ლექსები და
 ცოცხალი სურათები წაიკითხული რეფერატები ფრიად
 შინაარსიანი გამოდგა. ქ-ნ ყიფშიძის მიერ წაიკითხულ-
 მა რეფერატმა: „ორიოდე სიტყვა თამარის დროის და
 თანამედროვე სქესთა დამოკიდებულებაზე“ ხომ განუ-

*) იბეჭდება უცვლელად. რედ.

საზღვრელი სიაშოვნება აღძრა დამსწრეთა შორის, თავისის შინაარსით და სიმარტივით. ხაშურის საზოგადოება პირველად ჰხედავს სცენაზე ლექტორ-ქალს. ქ. ყიფშიძემ ორნაირი სარგებლობა მოუტანა საზოგადოებას: პირველი ის, რომ რეფერატი წაგვიკითხა და მეორე ის, რომ ჩვენს ქალებს მაგალითი უჩვენა და მათს კარჩაკეტილობას ფარდა ახზადა.

„შოთა რუსთაველში“—ძლიერ კარგი იყო ქ. სოფიო ბახტაძე—თამარის როლში. ქ. ბახტაძე მეტად სინდისიერად ეკიდება ხოლმე თავი მოვალეობას სცენაზე, ხოლოვენება სერიოზულად შეპყრუებს და მის სამაგალითო თვისებას ზედ ერთვის ეს იშვიათი თვისებაც, რომ როლების შესწავლაც იცის კარგი შოთა იყო ალ. ქუთათელაძე. დანარჩენები თუმცა მოიკოტლეებდნენ როლების უცოდინრობით, მაგრამ მაინც ხელს უწყობდნენ და მოქმედებამ ბოლომდე კარგად ჩაიარა.

შ. ტალიკაძის ლოტბარობით შესრულებული სიმღერები საზოგადოებას მოეწონა. ცოტა კარგად ვერ იყვნენ მომზადებულნი ლექსებში ბავშვები. ცოცხალ სურათებსაც რა უშავდა რა. საღამოდან დარჩენილ წმინდა შემოსავალი გადაეცემა ქალთა საზ. „მწიფი-ლოსანს“.

ნიკო გურული

წვრილი ამბები

◆ **† სტ. სვ. ელიაძე** ქართველთა შორის ცნობილი ჩუმი ქველმოქმედი, 22 მაისს კისლოვადსკოში მოულოდნელად გარდაიცვალა. ეს სამწუხარო ამბავი კიდევ ერთხელ შეაძრწუნებს ყოველი ქართველის გულს, რადგან სტ. სვ. ელიაძის სიკვდილით ჩვენს სამშობლოს დააკლდა ერთი მხნე, მუყაითი მშრომელი და სამშობლოს უანგარო მოსიყვარულე ადამიანთაგან.

◆ **„ურისს სისხლი“**, ანრი ბერნშტეინის ცნობილი პიესა, ვლ. ალექსი-მესხიშვილის რეჟისორობით წარმოდგენილი იქნება სახალხო სახლში ოთხშაბათს, 1 ივნისს.

◆ **ალ. ივ. სუმბათაშვილის** პატეისაცემლად სამშაბათს, 22 მაისს, ეკ. ივ. სარაჯიშვილის ოჯახში გაიმართა ბრწყინვალე ნადიმი.

◆ **მსახიობს ი. ჯარდალიშვილს** განუზრახავს საზაფხულოდ ბორჯომში ჰმართოს წარმოდგენები.

◆ **„ლაღატი“** ქართულად ალ. ივ. სუმბათაშვილის პატეისაცემლად სახაზინო თეატრში, ნ. ჩხეიძისა და გ. იშხნელის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება კვირას, 29 მაისს დილით, ავტორის თანადანსწრებით. ა. ი. სუმბათაშვილი წარმოსთქვამს სიტყვას.

◆ **ვლ. ალ.-მისხიშვილის** მონაწილეობით სახ. სახლში სამშაბათს, 24 მაისს წარმოდგენილ იქნა „ელმოდნ კინი“. ხალხი საშუალოდ დაესწრო.

◆ **მ. ძავსაძის გუნდი** თბილისის განაპირა უბნებში კონცერტებს მართავს.

◆ **ბათუმის ღრამ. წრის** განუზრახავს ივნისში წარმოდგინოს: „სიმინიხვე“, „მოლიპულ გზაზე“ მ. მდიენისა და ა. მურუსიძის მონაწილეობით, გაიმართება ეგ. ნ. ნოშვილის საღამო პ. გელეიშვილისა და ახალგაზდა მგოსანთა მონაწილეობით.

◆ **ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის** შესახებ საყურადღებო ლექცია წაიკითხა ქრ. კაპანაძემ 22 მაისს ახალ კლუბის დარბაზში. საზოგადოება საკმაოდ დაესწრო. სასურველია სახალხოდ გაიმეორებდეს.

◆ **ნინო ჩხეიძის** საგასტროლოდ, მსახიობ შ. გომელაურის სასარგებლოდ 7 ივნ. სახ. სახლში წარმოდგენილი იქნება „მარგარიტა გოტიე“.

◆ **ქართულ მოღვაწეთა აზარაკის** კომისიის თათნობით კვირას, 29 მაისს, საექიმო საზ. დარბაზში კრება იმართება საავარაკო ადგალის შერჩევის გამო მოსალაპარაკებლად. კრება 8 1/2 ს. დაიწყება.

◆ **ეგრაელთა** ცნობილი მწერალი შალომ, აში გარდაიცვალა.

◆ **ქართულ ხელოვანთა** საზოგადო კრება გაიმართა ოთხშაბათს, ხარჯთაღ რიცხვა დაამტკიცეს.

◆ **პროფ. ივ. ჯავახიშვილი** ამ მოკლე ხანში ქართული ხელოვნების შესახებ ლექციას წაიკითხავს ქართველ ხელოვანთა საზ.ის სასარგებლოდ.

◆ **უზვიგზვინო მუჟანი** წარმოლ. იქნ. სახ. სახლში პარასკევს—შაბათს, 3-4 ივნისს.

◆ **ახალი საზოგადოება** ნიქიერ ახალგაზდათა და ხმარე „იმედი“, მისი ერთი დამფუძნებელთაგანის ნ. ბ. ყიფიანის თათნობით, თავის ნივთიერ საშუალებათა გასაძლიერებლად 5 ივნისს ხარფუხის კლუბში სიერობას მართავს.

მ წ ი ვ ნ ო ზ რ ო ბ ა

„**მეანნი**“, გაზ. „საქართველო“ს პირველი პრემია ჩვენს ღროში საუცხოვო წიგნად ფნდა ჩაითვალოს. წიგნში დაბეჭდილია მხატვრული ნაწარმოებნი, სხვათა შორის პიესები: ს. შანშიაშვილის, ტრ. რამიშვილის, მოთხრობები—ლეო ქიაჩელის, დ. კასრაძის, ინ-ბანის, ალ. ყაზბეგის, ლექსები ი. გრიშაშვილის, კ. მაყაშვილის, გ. რუხაძის, გ. ქუჩიშვილისა, შ. მღვიმელის; მუსიკა: თავისუფალი მარში დ. არიყიშვილისა. წიგნი დასურათხატებულია ახალგაზდა მხატვარ ვ. სიდ.-ერისთავის მიერ. დაბეჭდილია მოსქო ქალალღზე, შეიცავს 142 გვ., მოზლილ ზომისას და ღირს 2 მან.

ან-ის ფერილავი კონსერვატივიზი, ლიბერალიზმი და სოციალიზმი

„განათლების“ გამოცემა, მდაბიურად, ყველასთვის გასაგებად არკვევს ზემორესხენებულ ცნებათ, მათს პოლიტიკურ მნიშვნელობას. სასურველია გავრცელდეს წიგნაკი ღირს 25 კ.

რედაქტორ-გამომცემი **ანნა იმედაშვილისა**

სახალხო სახლი

იტყვიან 1 ივნისს ქართულ დანამატს დასიც მის-
 ნობით მონაწილეობით ი ზარდალიშვილი
 გამართეს წარმოადგენს წარმადგენადი იქნება
 პირველად ქართულ სტენოგრაფიის სკოლის გახს-
 ნაში 3 მ. თარგ. შულვა დადიანისა და დედოფლის
 ადგილებს დასაწყისად ს. დადიანის შვილი
 ტობას — ი. ზარდალიშვილი.

ადგილებს ფს. ვერლასაგის ხელმისაწვდენით
 დასწავლის სარაზის 81/2 კ. ბილითები იყიდება.
 ზევისლი ვლ. ვალ.— შესხიშვილი
 ამ. დ. ავღლედიანისა კნ. ვლ. წერეთელისა

მოგზაურობა

შეიქმნის სახლი

დღეები წესით იღვივებდნენ

განი უმოგოს

დღეები წესით იღვივებდნენ

თავ. ალექსანდრე ივანეს-ძე სუბმათაშვილის

პატონისა ცხუმელ ვლ. ივანეს (9)
 ორ შვიდს, 30 შვის, დილით 12 ს. სახაზინო
 თეატრში გაიმართება სამეფოსისო წარმო-
 დგენა ავტორის თანადანსწრებით და მონა-
 დებლობით

ლესტია

დღეები წესით იღვივებდნენ

სახალხო სახლი

პარასკევს 3 და შაბათ 4 თიბათეს 1916 წ.
 თბილისის და ქუთაისის ქართველ მსახიობთა
 მიერ წარმოადგენილი იქნება მკრასა. შან
 შიაშვილის სტენოგრაფიის სკოლის

გამართულია ხელის მოწერა

კიკნა-შუაპული

დღეები წესით იღვივებდნენ

უპირპირი შეხვენი

დღეები წესით იღვივებდნენ

სახალხო კლუბი

დღეები წესით იღვივებდნენ

ხელახლათ კლუბი

დღეები წესით იღვივებდნენ

კრუნი მაკკლენ

დღეები წესით იღვივებდნენ

სამშაბათი

დღეები წესით იღვივებდნენ

სამშაბათი

დღეები წესით იღვივებდნენ

უკვე იბეჭდება
 უკვლხათვის საჭირო და სასარგებლო წიგნი

უცხო სიტყვათა სრული ლექსიკონი

ანუ ქართულს ენაში შემოსულ უცხო სიტყვათა ახსნა-განმარტება
 შედგენილი იოსებ იმედაშვილის მიერ

პეორეა შევსებულ-შესწორებული (პირველ გამოცემაზე ბევრად გადიდებული). წიგნში ახსნილ-განმარტებულია საშოც ათასამდე (60000), უცხო ენათა გან (ფრანგულ, ინგლისურ, ლათინურ და სხ.) შემოსული, სიტყვა და ანაზა წიგნი შეიცავს აიას ექვსას სეიტადე, მოზრდილი ზომისაა, აწყობილი იქნება ახალი კორპუსის მთავრული და ჩვეულებრივი ასოთი, ჩასული ინგლისურ საუკეთესო კალენკორის ყდაში, მოოქოვილ-მოვარაყებულ ასო არშიებით შემკული. ვინც იტუჟებს, წიგნზე დაიბეჭდება მისი სახელგვარის პირველი ასოები. ხელისმომწერთათვის ვაგზაენით ღირს ორი (2) მანათი (ფულის გადახდა შეღავათითაც შეიძლება; ხელის მოწერის ღროს 1 მან., დანარჩენიც—წიგნი გამოსვლის ყამს ახალ ხელის მომწერთათვის 2 მან. 50 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება: ყურ. „თეოატრი და ცხოვრების“ რედაქციაში „სორაპანი“ ას სტამბაში). ფოსტით: Тифлисъ. Ред. „Театри да Цховреба“ Иос. Имедашвили.

„თეატრი და ცხოვრება“ რედაქცია მიიღება განცხადებით. კანჭე-
 მთელი ვაგერდი — 60 მან., ნახევრ — 30 მ., მხოლოდ — 15 მ., მირვ — 8 მ.
 ტექ. წიგნი — 100 მ. უკან — 70 მ. წიგნი რედაქციაში ქვე ქალ. გარ. შემოქმ. მოგვ.
 Тиф. ред. „Театри да Цховреба“ Иос. Имедашвили.

1916 მიიღება ხელის მოწერა 1916

ყოველკვირეული სათეატრო, სალიტერატურო, სახელოვნო-სამხატვრო, საზოგადოებრივ შინაარსის სურათებშიანი ჟურნალი იუზორისტული განყოფილებით, შარეებით და კარიკატურებით

ფალიზადი „თეატრი და ცხოვრება“ ფალიზადი გამოცემა მართვა
 1916 წელსაც გამოვა

ჩვეულებრივი სრული პროგრამით, უკვე ცნობილი რედაქციით, სახელმძღვანელო და ახალგაზრდა მწერალთა მონაწილეობით.

ჟურნალი პარტიათა ვარეშეა, პროგრესიული მიზანთულებისა ჟურნალში სურათსამდე სურათი დაიბეჭდება

ფასი: წლიურად ისევ 5 მ., ნახევ. წლით—3 მ. ფულის შემოტანა ნაწ. ღ. ნაწილადაც შეიძლება. ხელის მოწერის ღროს—2 მ. მისში—2 მ. ენკენისთვის 1 მ. ვინც მთელი წლის გადასახადს ამ თავითვე შემოიტანს, ამა ქრისტეშობისთვის ნომრებიც გაეგზავნება.

ხელის მოწერა მიიღება „სორაპანის“ სტამბაში (მადათოვის კუნძ. № 1, ეორონკოვის პატარა ხიდის ყურში, მუხრან-ბატონის სახ.) იოსებ იმედაშვილთან დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ფოსტით: Тифлисъ, ред. „Театри да Цховреба“—Иос. Имедашвили.
 ტელეფონი № 15—41. რედაქტორ-გამომცემელი ანა იმედაშვილი